



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030489210665516

№ 04-247/თ

23 / მაისი / 2016 წ.

„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტის რეალიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი დონისძიების შესახებ

„2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით დამტკიცებული „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის (დანართი N9) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე და 61-ე მუხლებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის 11 მაისის N01/37072 (N04/34858; 28.04.2016 წ.) წერილის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებისათვის მოსარგებლეთა რეგისტრაციის წესი.
2. 2016 წლის 1 მაისიდან „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტის პირის მოსარგებლედ ცნობა განხორციელდეს „ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში“ რეგისტრაციის საფუძველზე:
 - ა) 2016 წლის 1 მაისიდან, „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტის ფარგლებში მოსარგებლედ ცნობისათვის, ორსულმა პირმა, ორსულობის 13 კვირის ვადამდე, უნდა მიმართოს პროგრამის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას;
 - ბ) პროგრამის ფარგლებში მომსახურების მისაღებად, მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს ორსულის რეგისტრაცია ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში, მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში;
 - გ) ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში რეგისტრირებული მოსარგებლის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და სააგენტოს მხრიდან მოსარგებლედ ცნობა (დადასტურება)/უარი უნდა განხორციელდეს რეგისტრაციიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა (დასტურის თაობაზე მოქალაქე იღებს ინფორმაციას, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით).
3. ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, მოდულში ასახული ინფორმაციის დამუშავებისა და

მოსარგებლედ ცნობის უფლება (დასტურის უფლება) მიენიჭოთ:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების სამმართველოს შესაბამის თანამშრომელს (თანამშრომლებს);

ბ) სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელს ან მისი ბრძანებით განსაზღვრულ, საამისოდ უფლებამოსილ პირ(ებ)ს.

4. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის შეცვლის შემთხვევაში, მოსარგებლე მიმართავს სასურველ სამედიცინო დაწესებულებას. აღნიშნული დაწესებულების მიერ პაციენტის პირადი ნომრის ელექტრონულ მოდულში დარეგისტრირებისთანავე, მოქალაქე, მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით, იღებს ერთჯერად კოდს, რომლის დაფიქსირება მოდულში ავტომატურად განსაზღვრავს მოსარგებლის გადამისამართებას სასურველ დაწესებულებაში.

5. დაევალოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრების უფროსებს, სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე, წარმოადგინონ ანგარიში ორსულთა რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

6. მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად, მოსარგებლის რეგისტრაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას.

7. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს ამ ბრძანების და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

8. 2016 წლის 1 მაისიდან, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ანტენატალური მეთვალყურეობის მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 24 მარტის № № 04-133/ო ბრძანება.

9. 2016 წლის 1 მაისამდე, „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტის ფარგლებში გაცემული მატერიალიზებული ვაუჩერი ვალიდურია კომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების დასრულებამდე.

10. ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 1 მაისიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე